№3-942 13.03.2024

სურსათის ეროვნული სააგენტოს

უფროსს ბატონ ზურაბ ჩეკურაშვილს

საკითხს აზუქებს moxmarebeli.ge
www.moxmarebeli.ge

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

ბატონო ზურაბ,

რძის ნაწარმის სახელწოდებით გაყიდულ სურსათში მცენარეული ცხიმის აღმოჩენასთან დაკავშირებით ჩვენს მიერ სეს-ში 2023 წლის 19 და 21 დეკემბერს გამოგზავნილი შეტყობინებების საპასუხოდ, სეს-ისგან უკვე ოთხი წერილი მივიღეთ. თუმცა, სამწუხაროდ, ამომწურავი ინფორმაცია მაინც არ გაგვაჩნია ამ შემთხვევებთან დაკავშირებით სეს-ის რეაგირების თაობაზე. ამიტომ იძულებულები ვართ კიდევ ერთხელ მოგმართოთ.

სეს-მა დაადგინა ჩვენს მიერ ი/მ დავით ჯიქიძისა და ი/მ ხათუნა ჭელიძის მაღაზიებში შეძენილი ნიმუშების მიმწოდებლების ვინაობა. ისინი ფიზიკური პირები აღმოჩნდნენ.

მაღაზიებში სეს-მა ვერ მოახერხა ზემოაღნიშნული მიმწოდებლების პროდუქციის ნიმუშების აღება, ვინაიდან სურსათის შესაბამისი რაოდენობის იდენტიფიცირება ვერ მოხდა. თუმცა, არც მიმწოდებლების კონტროლი განხორციელებულა.

მიუხედავად იმისა, რომ მიმწოდებლები ფიზიკური პირები არიან, შესაძლოა ისინი ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის გარეშე, ან ოჯახური წარმოების სუბიექტად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობენ და ამას სურსათის ფალსიფიკაციისათვის იყენებენ, ან არ მიმართავენ სათანადო ზომებს ფალსიფიცირებული სურსათის რეალიზაციისაგან თავის ასარიდებლად.

შესაბამისად, გთხოვთ განგვიმარტოთ, რატომ არ განხორციელდა ი/მ დავით ჯიქიძისა და ი/მ ხათუნა ჭელიძის მაღაზიებში რეალიზებული ჩვენს შეტყობინებაში (წერილი N 3-912) მითითებული პროდუქციის მიმწოდებლების სახელმწიფო კონტროლი.

გთხოვთ მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე vakhtang.kobaladze@csrdg.ge.

პატივისცემით,

ვახტანგ კობალაძე

პროგრამის კოორდინატორი